

“ისტორიურად, კათოლიკე და მართლმადიდებელი ქრისტიანები მხარდამხარ იდგნენ საქართველოს აღმშენებლობის გზაზე” (ვიდეო)

✘ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზაღვარდია იანი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ წმინდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივანს (საგარეო საქმეთა მინისტრს), მთავარეპისკოპოს ჰოლ რიჩარდ გადაჰერს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრებმა აღნიშნეს ბოლო წლებში საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებული ურთიერთობების დინამიკის ზრდისა და განხორციელებული უმაღლესი და მაღალი და ღონის ვიზიტებისა და შეხვედრების მნიშვნელობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მოვდენა იყო 2016 წელს, რომის პაპის, ფრანცისკეს საქართველოში ვიზიტი.

შეხვედრის შემდეგ მათ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საკუთარ გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ვიზიტების მზარდ დინამიკაზე. მან ასევე ისაუბრა წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის არსებულ საუკუნოვან კავშირებზე, მათ შორის აღნიშნა, რომ წმინდა საყდრიდან საქართველოში პირველი ვიზიტი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში განხორციელდა.

„დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მუდმივად ვგრძნობთ წმინდა საყდრის მტკიცე მხარდაჭერას. გვახსოვს გვერდში დგომა როგორც მშვიდობის, ასევე განსაცდელის პირობებშიც, მათ შორის, 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ. მაღლობას ვიხდით საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის. მსურს, ასევე ხაზი გავუსვა ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს, რასაც კურტუზის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში არსებული თანამშრომლობა წარმოადგენს. უაღრესად მაღდიერები ვართ საქართველოში წმინდა საყდრის

სადესპანოს მხრიდან მრავალი კურტურული და საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებისთვის.” – განაცხადა დავით ბარკადიანმა.

მინისტრმა საკუთარ გამოსვლაში ასევე ისაუბრა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე, როგორც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედსა და ქართველი ხალხის შეუქცევად არჩევანზე.

„ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანის ერთ-ერთი მტკიცე საყრდენიც სწორედ ქრისტიანობიდან მომდინარეობს, რადგან საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა და ჩვენი ცივილიზაცია, ისევე როგორც მრავალი ევროპული ქვეყნის ცივილიზაცია, წარმოიშვა და განვითარდა „ქრისტიანულ ფესვებზე“. ისტორიულად, კათოლიკე და მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ საქართველოს აღმშენებლობის გზაზე. ქართველმა კათოლიკეებმა – სურხან-საბა ორბელიანმა, მიხეილ თამარაშვილმა, მიხეილ თარხნიშვილმა, პეტრე ხარისჭირაშვილმა, ძმებმა ბუბაღაშვილებმა, ბაქარია ფადიაშვილმა, სტეფანე და პეტრე მერიქიშვილებმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, პეტრე ოცხერმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში კურტურის, განათლების და მეცნიერების განვითარებაში.“ – აღნიშნა მინისტრმა.

როგორც არქიბიშოპ პოლ რიჩარდ გარაჰერმა განაცხადა, ვატიკანი საქართველოს ევროპასთან ურთიერთობების გაძლიერების გზაზე მხარს უჭერს. გარაჰერის თქმით, საქართველოში პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავზე ვიზიტი, ვატიკანსა და საქართველოს შორის მეგობრობასა და კარგ ურთიერთობებზე მიუთითებს.

არქიბიშოპის განცხადებით, წმინდა საყდარი კავკასიის რეგიონის რელიგიურ და პოლიტიკურ მოვლენებს განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება და მხარს უჭერს. მისი თქმით, წმინდა საყდარი აღიარებს იმ წვდილს, რაც საქართველომ ევროპასთან ურთიერთობების გასაძლიერებლად უკვე გააკეთა. მან ასევე განცხადება გააკეთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე და ამის გამო წუხილი გამოთქვა.

“წმინდა საყდარი გურისტკივირს გამოვთქვამთ ტკივილის გამო,

რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ, განსაკუთრებით დევნილებმა განიცადა. გვსურს, ხაზი გავუსვათ, რამდენად დამაბიანებელია ერთა თანაცხოვრებისთვის თითოეული კონფლიქტი და რამდენად მნიშვნელოვანია მათი მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრება”, – თქვა რქიბიშოპ პოლ რიჩარდ გარაჰერმა და დასძინა, რომ საქართველოს საზღვრები, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით არის აღიარებული, ვატიკანისთვის უცვლელი რჩება.

“ასევე, ძალაშია რომის პაპის 2016 წლის განცხადება, რომელიც მან თბილისში გააკეთა, სადაც ის აცხადებს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა რეგიონის ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთპატივისცემასა და ყურადღებას მოითხოვს, რომელიც საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში აღიარებული თითოეული ქვეყნის სუვერენულ უფლებებს ვერ დაჩრდილავს. წმინდა საყდრის სახელით, ქვეყანას აყვავებას, მშვიდობასა და ღვთის დოცვას ვუსურვებ”, – განაცხადა წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ვიზიტის ფარგლებში წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. მთავარეპისკოპოსი გარაჰერი ასევე შეხვდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს. ასევე პოლ რიჩარდ გარაჰერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართავს შეხვედრას, რომელსაც დაესწრებიან სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მთავრობის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სასურდო პირები.

ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი მცხეთაში მოინახულებს სვეტიცხოვლის ტაძარს და ჯვრის მონასტერს.